ქულა “კარპატისთან”

ლვოვი. სტადიონი “დრუჟბა”. 9 ივლისი.

“კარპატი” (ლვოვი) - “დინამო” (თბილისი) - 2:2 (1:0).

“კარპატი”: ვაიდა, დანილჩუკი, სოროკა, სავკა, რეშკო, ბროვარსკი, შულიატიცკი, კულნიცკი, გრეშჩაკი, გაბოვდი (დანილიუკი), ხიჟაკი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე (კუტივაძე), პეტრიაშვილი, მაჩაიძე, გავაშელი, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დებიუტანტთან თამაში მის მინდორზე მუდამ ძნელია, ეს კარგადაა ცნობილი ფეხბურთში, მაგრამ “კარპატი” წლეულს შინ განსაკუთრებული სიძლიერით თამაშობს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ იმ 5 მოგებიდან, რომლებიც სადღეისოდ აქვს ამ გუნდს, ყველა ლვოვშია მოპოვებული. ამასთან, მასპინძლები აქ, როგორც წესი, დამაჯერებელი ანგარიშით იმარჯვებენ. ნათქვამს დავუმატებთ იმასაც, რომ ის ერთადერთი წაგება, რომელიც წლევანდელ ჩემპიონატში კიევის ”დინამოს” აქვს განცდილი, ლიდერმა სწორედ ლვოვში იწვნია.

ამიტომ გასაგებია ის სიძნელე, რომელიც თბილისის “დინამოს” წინაშე იდგა 9 ივლისის მატჩში. პროგნოზებზე არ ვილაპარაკებთ, მაგრამ თამაშის დასაწყისმა მართლაც დიდი სირთულეები შეუქმნა დინამოელებს: მე-11 წუთზე გრეშჩაკმა საჯარიმო მოედნის გარედან ძლიერად დაარტყა კარში და ურუშაძე იძულებული იყო გამოეტანა ბურთი ბადიდან.

ამ გოლის გაქვითვას თბილისელები საკმაო ხანს მოუნდნენ და რამდენიმე ძლიერი შეტევის შემდეგ ლ. ნოდიამ 38-ე წუთზე თავისი ინდივიდუალური გარღვევა ზუსტი დარტყმით დაამთავრა - 1:1.

სტუმრებს დაწინაურება შეეძლოთ შესვენების შემდეგ, როცა ვაიდამ ძალიან ძნელი ბურთი აიღო იმავე ლ. ნოდიასგან. მერე მდგომარეობა გათანაბრდა და “კარპატის” ერთ-ერთი იერიშის შემდეგ დინამოელთა კარი მეორედ იქნა აღებული და თითქმის იმავე ვითარებაში: შულიატიცკიმ შორიდან დაარტყა, ბურთი მოხვდა თბილისელთა ერთ-ერთ მცველს, მიმართულება შეიცვალა, რის შემდეგ ბადეში აღმოჩნდა.

65-ე წუთზე ანგარიში კვლავ გათანაბრდა. გ. ნოდიას ძლიერი დარტყმის შემდეგ ვაიდამ ბურთი კუთხურზე მოიგერია. თბილისელებმა კარგად გაითამაშეს იგი, კუტივაძე კარის პირისპირ აღმოჩნდა და ზუსტად, შეუჩერებლად დაარტყა მიზანში. ვაიდა უძლური იყო რამე მოემოქმედა - 2:2.

გ. ვორონა. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო” 11 ივლისი, 1971 წ.